



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის დოკუმენტი

თებერვალი 2020 / გამოცემა #21

მედეგობა და დემოკრატია: შეუძლია თუ არა პრაგმატულ ევროკავშირს საქართველოში დემოკრატიული პროცესის ხელშეწყობა?

ზიბინა ლეზანიძე¹

მოკლე შინაარსი

ევროკავშირის სამეზობლოში მედეგობის გაძლიერება ბრიუსელის ახალი ამბიციური გლობალური დღის წესრიგის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მისი მიზანი ევროკავშირის მეზობელი სახელმწიფოებისა და საზოგადოების გაძლიერებაა რათა, მათ უკეთ შეძლონ გამოწვევებსა და კრიზისებზე რეაგირება და სწრაფად ცვალებად პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოსთან ადაპტირება. თუმცა, საქართველოსთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვანი იქნება მედეგობის სწორი მიმართულებით წარმართვისთვის. ერთ-ერთი ასეთი საკითხია საზოგადოებრივ მედეგობასა და [ავტოკრატიული] რეჟიმის სტაბილურობას შორის კავშირის სათანადო გამიჯვნა. იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ვერ შეძლებს, შესაძლოა მისი მედეგობაზე ორიენტირებული მიდგომა საქართველოში ავტოკრატიის გაძლიერების პოლიტიკად იქცეს და ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი კიდევ უფრო მეტად შეარყიოს. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ ნაშრომში მხოლოდ საქართველოზეა საუბარი, დოკუმენტის ემპირიული და კონცეპტუალური მიგნებები ასევე რელევანტურია ევროკავშირის ურთიერთობებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ორ სხვა ასოცირებულ ქვეყანასთან - უკრაინასა და მოლდოვასთან.

საკვანძო სიტყვები: მედეგობა, დემოკრატიზაცია, ევროკავშირის გლობალური სტრატეგია, საქართველო, სტაბილურობა, დემოკრატიის ხელშეწყობა.

¹ ზიბინა ლეზანიძე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) უფროსი ანალიტიკოსი. იგი არის ფრიდრიხ შილერის სახელობის იენას უნივერსიტეტის მკვლევარი.

შესავალი: მედეგობის როლი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მედეგობა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წამყვან პრინციპად ჩამოყალიბდა.² ევროკავშირი მედეგობას განსაზღვავს, როგორც „სახელმწიფოსა და საზოგადოების შესაძლებლობას, განაგრძონ რეფორმები და შესაბამისად, გაუმკლავდნენ და დაძლიონ საშინაო თუ საგარეო კრიზისი.“³ მედეგობა საჭიროებს „ევროკავშირის საზღვარგარეთ ინტერვენციის უფრო მოკრძალებულ და კოოპერაციულ მიდგომას.“⁴ ევროპული ღირებულებების სამეზობლოში ექსპორტის ან თავს მოხვევის ნაცვლად, ევროკავშირი „ეყრდნობა ადგილობრივ რესურსებს და ოპერირებს კომპლექსური პარტნიორობის ფორმატში ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე მედეგობის, ეკონომიკური ზრდის და ომიდან მშვიდობის ფაზაში გადასვლის ხელშეწყობის მიზნით.“⁵ დევიდ ჩანდლერი წარმოადგენს მედეგობის ყველაზე ყოვლისმომცველ განმარტებას, ისე როგორც ეს ევროკავშირშია აღქმული. ჩანდლერის თქმით, მედეგობა არის „საზოგადოების შესაძლებლობა გაუმკლავდეს კრიზისს, რა დროსაც ყურადღება მახვილდება თვითორგანიზების, შიდა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაზე, საგარეო დახმარების და რესურსების ნაცვლად.“⁶ შესაბამისად, ფუნქციონალისტური ხედვით, ევროკავშირის მედეგობით გატაცება მარტივად გასაგები ხდება, რადგან ეს ევროკავშირის საზღვრებს გარეთ შეზღუდული მართვის შესაძლებლობას ეხმიანება. კრიტიკოსების აზრით, მედეგობაზე ყურადღების გამახვილება ევროკავშირს გარკვეულწილად ეხმარება შეამციროს ამბიციები სამეზობლოსთან მიმართებაში, პასუხისმგებლობა ადგილობრივ მოთამაშეებზე გადაიტანოს და ამ გზით შეზღუდოს პირდაპირი ჩართულობა კონფლიქტებით და პრობლემებით სავსე სამეზობლოში, სადაც ცხადად არსებობს ევროკავშირის ლიდერობის მოლოდინები.⁷

რადგანაც მედეგობა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შედარებით ახლად განვითარებადი მიმართულებაა, ჯერ კიდევ ადრეა იმის შეფასება თუ რა შედეგები ექნება მას საქართველოში ევროკავშირის პოლიტიკაზე. თუმცა, ამ ეტაპზე ეს შედეგები პასუხებზე მეტ კითხვას ბადებს. ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ის, თუ რამდენად არის მედეგობის პრინციპი პრო-დემოკრატიული აქტორების მხარდაჭერასთან შესაბამისობაში. მიუხედავად ევროკავშირის პოზიციისა, რომ მედეგობა უნდა გაიმძღვოს ავტორიტარული სტაბილურობის მხარდაჭერისგან,⁸ მედეგობაზე ყურადღების გამახვილება დროში დაემთხვა ევროკავშირის შედარებით პასიურ როლს საქართველოს მიმართ, როგორც დემოკრატიული პირობითობის, ისე ახალი მასტიმულირებელი პირობების შეთავაზების თვალსაზრისით. ამასთან, საერთაშორისო საზოგადოების არაერთი მცდელობის მიუხედავად, ბოლო ხანებში საქართველოში დემოკრატიზაციის დინამიკა შეიცვალა და სახეზეა დემოკრატიული სტაგნაცია და ცალკეულ სფეროებში ავტორიტარული უკუსვლაც

² Wagner and Anholt (2016); Börzel and Risse (2018).

³ EEAS (2016: 23).

⁴ Bargués-Pedreny (2019: 2).

⁵ Bargués-Pedreny (2019: 2).

⁶ Chandler (2015).

⁷ Wagner and Anholt (2016).

⁸ EEAS (2016).

კი.⁹ შესაბამისად, საინტერესო იქნება იმაზე დაკვირვება, როგორ გაუმკლავდება მედეგობაზე ორიენტირებული ევროკავშირი ქართული დემოკრატიის პრობლემებს. ნაშრომის შემდგომი ნაწილი ეხება მედეგობასა და დემოკრატიას შორის კავშირს და წარმოადგენს რეკომენდაციებს ევროკავშირისთვის მედეგობის თანმდევ პრობლემებთან გამკლავების მიმართულებით.

მედეგობა და სტაბილურობის იმპულსი

მრავალი წლის მანძილზე, ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები საქართველოს დემოკრატიული რეფორმების მთავარი მხარდამჭერები იყვნენ, განსაკუთრებით რესურსების განვითარებისა და გრძელვადიანი ექსპერტული მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიმართულებით.¹⁰ თუმცა, ევროკავშირი ხშირად თავს იკავებდა დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობი ნეგატიური მასტიმულირებელი პირობების გამოყენებისგან¹¹ - ანუ საკუთარი მხარდაჭერისა და ჩართულობის ქვეყნის დემოკრატიულ პროგრესთან დაკავშირებისგან.¹² საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ამ დინამიკას ადასტურებს. მაშინ, როდესაც აშშ-ს კონგრესმა არაერთი კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა საქართველოს მიმართ და ღია წერილებში ქვეყნის ოფიციალური პირები საჯაროდ დაადანაშაულა ავტოკრატიულ მიდგომებში,¹³ ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები (ევროპარლამენტის გამოკლებით) ძირითადად ჩუმად ყოფნას არჩევენ. ევროკავშირის მხრიდან კრიტიკა ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა და მოკლებულია საჯაროობას. ის ხშირად იჩრდილება ევროკავშირის დოკუმენტების გრძელ ტექსტებში, რომელთაც ყურადღებით საზოგადოების მხოლოდ ვიწრო წრე ეცნობა. პარადოქსია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი აშშ-ს საქართველოსთან ინსტიტუციური, საზოგადოებრივი, სავაჭრო, ფინანსური და უსაფრთხოების სფეროში კავშირების კუთხით ჯობნის, როდესაც საქმე საქართველოში დემოკრატიის აქტიურ მხარდაჭერას ეხება, აშშ-ს პოლიტიკური ისტაბლიშმენტი და აშშ-ში მოქმედი ორგანიზაციები მაინც ყველაზე ხილვადი აქტორები არიან.

აშშ-სგან განსხვავებით, ევროკავშირი დემოკრატიული მხარდაჭერის ევოლუციურ და უფრო მეტად ფაქიზ მიდგომას არჩევს, რამაც შესაძლოა გრძელვადიან პერიოდში უკეთესი შედეგები გამოიღოს, მაგრამ მოკლევადიან პერსპექტივაში ვერ უზრუნველყოფს დემოკრატიული დადმასვლის პრევენციას. გრძელვადიან შედეგებზე ფოკუსმა შესაძლოა ცუდი პოლიტიკის შემუშავების რისკის ქვეშ დააყენოს ისეთი არაკონსოლიდირებული დემოკრატიები, როგორც საქართველოა, რაც პროგრესის მიღწევას მრავალი წლით შეაფერხებს და ევროპელი აქტორების შრომის შედეგებს ჩრდილს მიაყენებს.¹⁴ ევროპელი აქტორები საქართველოში ავტოკრატიულ ტენდენციებზე რეაგირების თვალსაზრისით ხშირად ნელი და შედარებით მოკრძალებულები არიან - ასევე, ევროპული არასამთავრობო

⁹ Freedom House (2018); The Economist Intelligence Unit (2019).

¹⁰ Börzel and Lebanidze (2015).

¹¹ Börzel (2016).

¹² Lebanidze (2019).

¹³ Civil Georgia (2020b, 2020a, 2019).

¹⁴ On different approaches to democracy promotion see: Carothers, T. 2009. "Democracy Assistance: Political Vs. Developmental?" *Journal of Democracy*. 20 (1). 5–19. Magen, A., Risse-Kappen, T. and McFaul, M. eds. 2009. *Promoting Democracy and the Rule of Law: American and European Strategies*. Basingstoke: Palgrave Macmillan.

ორგანიზაციების უმეტესობას, პოლიტიკურ ფონდებსა და სხვა არასახელმწიფო აქტორებს არ აქვთ ხილვადი, სანიმუშო პროექტები ან დემოკრატიის მხარდამჭერი ინიციატივები, რომელთაც საქართველოს დემოკრატიული განვითარების არსებულ სტადიაზე პირდაპირი გავლენა ექნებათ.

ამ გადმოსახედიდან, ყურადღების გამახვილება მედეგობაზე, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია რესურსების გაძლიერებასა და ეფექტურ მმართველობაზე არანორმატიული სექტორული მიმართულებებით (კონფლიქტის მართვა, გარემოს საკითხები, კატასტროფის პრევენცია, ინფრასტრუქტურული განვითარება, ა.შ.), შესაძლოა, ევროკავშირის სამეზობლოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უზულებელყოფისკენ უფრო მეტად უბიძგოს. ბოლო დროს ისეთ ავტოკრატიულ ქვეყნებთან ურთიერთობების გააქტიურება, როგორცაა ბელარუსი და ეგვიპტე ამ დინამიკის დადასტურებაა.¹⁵ თუმცა, თუკი ევროკავშირისთვის პოლიტიკურად გამართლებულია პრაგმატული ურთიერთობების დალაგება ავტოკრატიულ ქვეყნებთან, რომელთაც დემოკრატიზაციის პერსპექტივა უახლოეს მომავალში არ აქვთ, იგივეს გაკეთება წინდაუხედაობა იქნებოდა საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში, რომლებიც იქცნენ შეუქცევად პლურალისტურ ქვეყნებად გადალახეს რა ავტორიტარული სტაბილურობის ზღვარი, სადაც პოლიტიკური სტაბილურობა და მართვის ავტოკრატიული ფორმა ერთმანეთის შემავსებელი და გამაძლიერებელია. პირიქით, საქართველოში ავტორიტარული მმართველობის დამყარება სავარაუდოდ უფრო მეტ არასტაბილურობასა და საზოგადოებრივ პროტესტს გამოიწვევს, რაც რეგიონში ევროკავშირის მთავარი მიზნების: მშვიდობის, უსაფრთხოებისა და პოლიტიკური სტაბილურობის ხელშემშლელი ფაქტორი იქნება.¹⁶ შესაბამისად, თუკი ევროკავშირის სურს რომ ხელი შეუწყოს მედეგობის განვითარებას საქართველოში, არ უნდა მოერიდოს ოფიციალური პირების ავტოკრატიული ტენდენციების კრიტიკას. ევროკავშირის სამეზობლოში ბევრი ავტორიტარული ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში დემოკრატიის აქტიური ხელშეწყობა უნდა განიხილებოდეს არა როგორც სტაბილურობის საფრთხე, არამედ როგორც ქვეყნის საზოგადოებისა და სახელმწიფოს მედეგობის ხელშეწყობა.¹⁷

მედეგობის გაძლიერება პოლარიზებულ გარემოში

ქართული პოლიტიკის მიმომხილველები თანხმდებიან, რომ საქართველოს დემოკრატიის კონსოლიდაციის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციაა, რომელიც მმართველი გუნდის - ქართული ოცნებისა და მთავარი ოპოზიციური პარტიის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და მათგან გამოყოფილი ჯგუფების ორპარტიულ დომინანტობაში გამოიხატება.¹⁸ პოლარიზაცია არ ეხება მხოლოდ პარტიულ პოლიტიკას, ის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოედო, მათ შორის

¹⁵ European Commission (2020); Ioffe (2019); EEAS (2019a).

¹⁶ EUobserver (2019).

¹⁷ On negative aspects of democracy promotion, see: Grimm, S., and Leininger, J. 2012. "Not All Good Things Go Together: Conflicting Objectives in Democracy Promotion." *Democratization*. 19 (3). 391–414. Jünemann, A. Ed. 2004. *Euro-Mediterranean Relations After September 11: International, Regional, and Domestic Dynamics*. London: Frank Cass. <http://site.ebrary.com/lib/alltitles/docDetail.action?docID=10093984>.

¹⁸ Zurabashvili (2019); Robakidze (2019); DRI and GYLA (2018).

მთავარ სატელევიზიო არხებს და სოციალურ მედიებს.¹⁹ მთავრობის მხრიდან 2019 წლის ნოემბერში საარჩევნო რეფორმის განხორციელების შესახებ დაპირების შეუსრულებლობამ, კიდევ უფრო მეტად შეარყია საზოგადოების ნდობა პოლიტიკური პროცესების მიმართ. ასევე შემცირდა მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების გზით გამოსავლის პოვნის შესაძლებლობა და გაიზარდა წინასაარჩევნო პოლიტიკური კრიზისის შანსები.

ამ ფონზე, უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციის მიზეზებთან და სიმპტომებთან ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოების მედეგობის გაძლიერების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ კონტექსტში ევროკავშირის ნაბიჯების გადადგმა სამი მიმართულებით შეუძლია. პირველი - პოლიტიკური პოლარიზაციის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს არსებული საარჩევნო კოდექსია ე.წ. „გამარჯვებულს ყველაფერი რჩება“ პრინციპით.²⁰ შესაბამისად, ევროკავშირმა უნდა გააგრძელოს წნეხი ხელისუფლებაზე იმისათვის, რომ მან შეასრულოს პოლიტიკური დაპირება და შეცვალოს საარჩევნო კოდექსი. მეორე - მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ უფრო მეტად იხეირა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დემონიზებით მათი წარსული საქმიანობის გამო, პოლარიზაცია ორპარტიული პროცესია, რომელსაც ხელს როგორც ოპოზიცია, ისე მთავრობა უწყობს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი წევრი, მათ შორის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, განსაკუთრებით უწყობს ხელს პოლიტიკური რადიკალიზმის გაღვივებას.²¹ შესაბამისად, მთავრობასთან ერთად, ევროკავშირმა ოპოზიციასთანაც უნდა იმუშაოს და თუ საჭირო გახდა გამოიყენოს ნეგატიური პირობითობა ან დაასახელოს და საჯაროდ გააკრიტიკოს ოპოზიციური პარტიებიც. მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი - ევროკავშირი, შესაძლოა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად, ერთადერთი აქტორია, რომელსაც, როგორც ჩანს აქვს ისეთი პოლიტიკური რეპუტაცია, რომ შეძლოს პოლარიზებულ მხარეებს შორის ნეიტრალური არბიტრის როლი ითამაშოს. შესაბამისად, ევროკავშირმა უნდა მოახდინოს პოლიტიკური დიალოგის პროცესის კოორდინაცია და უთანხმოებების კონსენსუსის გზით გადაჭრას, თუ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ან ნებისმიერი სხვა პოლიტიკური მოვლენა მომავალში ლეგიტიმურობის კრიზისს გამოიწვევს.

საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოს მედეგობა?

ევროკავშირის მტკიცებით, მისი მიდგომა მედეგობისადმი საზოგადოებაზეა და არა (მხოლოდ) სახელმწიფოზე ორიენტირებული.²² საზოგადოებრივი მედეგობა გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას და საკომუნიკაციო არხების დივერსიფიკაციას. თუმცა, პრაქტიკაში ევროკავშირი სახელმწიფოზე ორიენტირებულ აქტორად რჩება. მართლაც, ევროკავშირის საგარეო მმართველობის პლატფორმების მარცხი, დახმარებოდა აღმოსავლეთით მყოფ მეზობლებს მყიფე დემოკრატიის კონსოლიდაციაში, ნაწილობრივ აიხსნება მისი სახელმწიფოზე ფოკუსირებული მიდგომითა და თანამშრომლობის სახელმწიფო არხებზე ზედმეტად დამოკიდებულებით.²³ ევროკავშირმა ახლახანს სცადა

¹⁹ Kakachia and Lebanidze (2019).

²⁰ Zurabashvili (2019).

²¹ TI Georgia (2018).

²² EEAS (2016, 2019b).

²³ Falkenhain and Solonenko (2012); Gumeniuk (2010).

თანამშრომლობის ახალი ფორმატების შემუშავება მეზობელ ქვეყნებთან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის გასაძლიერებლად, თუმცა აღნიშნული ფორმატები ფრაგმენტული და არასრულფასოვანია. საუკეთესო შემთხვევაში, ისინი დაბალი პროფილის მქონე საკონსულტაციო ფუნქციებს ანიჭებენ ადგილობრივ არასახელმწიფო აქტორებს, რაც გასაკვირია საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების პოტენციალის გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს დემოკრატიის კონსოლიდაციის საშუალებას იძლევა.

ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეალური გაძლიერება საზოგადოებრივი მედეგობის ხელშეწყობის სახელით, შესაძლოა ევროკავშირის სტაბილურობაზე ორიენტირებული პრაგმატული მიდგომის დანერგვაში დაეხმაროს, თანამშრომლობის ფორმატებსა და რეფორმების შესახებ დიალოგის დროს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების სახელმწიფო უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის გადანაწილებით. მსგავსი გადანაწილება გაზრდის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გავლენას გადაწყვეტილებების პროცესზე საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობების ინტენსივობისა და ხარისხის კუთხით. აღნიშნული არ საჭიროებს ახალი ინსტიტუტების შექმნას ან დაფინანსების მექანიზმების გადაწყობას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება მარტივად მიიღწევა არსებული ინსტიტუციური ფორმატის ფარგლებში. თუმცა, ამ დრომდე ევროკავშირი თავს იკავებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ამ ხარისხით გაძლიერებისგან.

დასკვნა და რეკომენდაციები

მედეგობისკენ ყურადღების მიმართვა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკურ აზროვნებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა. მას შეუძლია ევროკავშირი სამეზობლოში უფრო ეფექტურ მოთამაშედ აქციოს იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც ევროკავშირს, როგორც საგარეო პოლიტიკის აქტორს აქვს. თუმცა, საქართველოს მსგავს დემოკრატიზაციის გზაზე მდგარ ქვეყნებში სრული პოტენციალის რეალიზებისთვის, აუცილებელია მედეგობის გაძლიერება ისე, რომ ამ პროცესმა უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს დემოკრატიის ხელშეწყობის მიზნებზე. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე რეკომენდაცია ევროკავშირისთვის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არის შესაძლებელი ევროკავშირისთვის მისთვის პასიური იმიჯის ჩამოშორება და საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში მისთვის უფრო აქტიური მოთამაშის როლის მინიჭება.

მედეგობა და დემოკრატიული პირობითობა. დემოკრატიის სწრაფი უკუსვლის შემთხვევებისას, რესურსების გაძლიერებასა და ექსპერტულ მხარდაჭერასთან ერთად, ევროკავშირმა და წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური მოთამაშეების მოტივირება უარყოფითი მასტიმულირებელი ინსტრუმენტებით. უარყოფითი პირობითობისთვის, ევროკავშირმა შესაძლოა გამოიყენოს შემდეგი ინსტრუმენტები:

- გამოიყენოს უარყოფითი პირობითობა ავტორიტარული მმართველობის მომხრე პოლიტიკური აქტორების მიმართ საქართველოში (ევროკავშირის პროგრამებიდან, ევროკავშირთან დიალოგიდან და თანამშრომლობის ფორმატებიდან გარიცხვის

საფრთხე)

- საზოგადოებრივი წნეხის გამოყენება ავტორიტარული მმართველობის მომხრე პოლიტიკური აქტორების წინააღმდეგ და პოზიტიური მასტიმულირებელი ინსტრუმენტები პრო-დემოკრატიული მოთამაშეებისთვის;
- მნიშვნელოვანი პროექტების წამოწყება დემოკრატიის აქტიურ ხელშეწყობაზე ყურადღების გამახვილებით;
- მთავარი ტელეარხებისა და ონლაინ მედიის (Facebook, YouTube, Twitter) აქტიური გამოყენება საზოგადოებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი მესიჯების მისაწოდებლად.

მედეგობა და პოლარიზაცია. უკიდურეს პოლიტიკურ პოლარიზაციასთან ბრძოლა საქართველოში საზოგადოებრივი მედეგობის მხარდაჭერის მიმართულებით ევროკავშირის ძალიან მნიშვნელოვანი ორგანული ნაწილი უნდა იყოს, რაც უნდა ფარავდეს სამ მნიშვნელოვან ღონისძიებას:

- აიძულოს მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა შეცვალონ არსებული საარჩევნო კოდექსი, რომელიც ხელს უწყობს პოლარიზაციას ე.წ. „გამარჯვებულს ყველაფერი რჩება“ პრინციპით;
- აიძულოს მთავრობა და ოპოზიცია შეწყვიტონ პოლარიზაციის ხელშემწყობი დღის წესრიგის განხორციელება, პოლარიზაციის გამომწვევ ქმედებებში (დიალოგში მონაწილეობაზე უარი, უარყოფითი საარჩევნო კამპანიები, ოპონენტების დემონიზება და სიძულვილის ენის გამოყენება) შემჩნეული პარტიების დელეგატიმაციის გზით;
- შეითავსოს ნეიტრალური არბიტრის როლი პოლარიზებულ მხარეებს შორის მუდმივი თანამშრომლობის სტრუქტურირებული ფორმატების შემუშავებით.

მედეგობა და სამოქალაქო საზოგადოება. იმისათვის, რომ ევროკავშირმა შეძლოს მედეგობისა და (ავტორიტარული) სტაბილურობის ხელშემწყობი სტრატეგიების ერთმანეთისგან გამიჯვნა და საქართველოში საზოგადოებრივი მედეგობის მხარდაჭერა, უნდა შეწყვიტოს სახელმწიფოზე ორიენტირებული მიდგომა და მეტი ყურადღება არასახელმწიფო მოთამაშეებს დაუთმოს. ამ მიზნის მისაღწევად, ევროკავშირმა უნდა:

- გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში ევროკავშირის საქმიანობასთან დაკავშირებით გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების მინიჭებით;
- გაზარდოს ფინანსური დახმარება და პოლიტიკური მხარდაჭერა არასახელმწიფო აქტორებისა და დემოკრატიულ საკითხებზე მომუშავე „გრასრუთ“ მოძრაობებისთვის.

ბიბლიოგრაფია

- Bargués-Pedreny, P. 2019. "Mogherini, the queen of resilience reaches the end of her mandate." Available at: https://www.cidob.org/en/publications/publication_series/opinion/europa/mogherini_the_queen_of_resilience_reaches_the_end_of_her_mandate. Accessed: 25 January 2020.
- Börzel, A.T. and Risse, T. 2018. "Conceptual Framework. Fostering Resilience in Areas of Limited Statehood and Contested Orders." *EU-LISTCO Working Paper* (1).
- Börzel, T. and Lebanidze, B. 2015. "European Neighbourhood Policy at the Cross-Roads: Evaluating the Past to Shape the Future." *MAXCAP Input Paper* (13).
- Börzel, T.A. 2016 "Building member states: how the EU promotes political change in its new members, accession candidates, and eastern neighbors." *Geopolitics, History, and International Relations*. 8(1). 76–112.
- Chandler, D. 2015. "Rethinking the conflict-poverty nexus: From securitising intervention to resilience." *Stability: International Journal of Security and Development*. 4(1).
- Civil Georgia. 2019. "Senator Risch 'Deeply Concerned' by Reports of Political Targeting of Georgia Opposition." Available at: <https://civil.ge/archives/332361>. Accessed: 25 January 2020.
- Civil Georgia. 2020a. "Four US Congressmen Address Georgian PM with 'Concerns over Political Targeting, Declining Economic Trend.'" Available at: <https://civil.ge/archives/335617>. Accessed: 25 January 2020.
- Civil Georgia. 2020b. "U.S. Congressman Babin Concerned over Georgia's 'Backsliding from Democratic Values.'" Available at: <https://civil.ge/archives/335916>. Accessed: 25 January 2020.
- DRI and GYLA. 2018. "The high price of extreme political polarisation in Georgia." Available at: https://democracy-reporting.org/dri_publications/the-high-price-of-extreme-political-polarisation-in-georgia-report/#_ftn2. Accessed: 9 February 2020.
- EEAS. 2016. "Shared Vision, Common Action: A Stronger Europe: A Global Strategy for the European Union's Foreign And." Available at: https://eeas.europa.eu/archives/docs/top_stories/pdf/eugs_review_web.pdf. Accessed: 27 February 2018.
- EEAS. 2019a. "The EU Delegation in Cairo reaffirms the commitment to support sustainable development of Egypt." Available at: <https://www.euneighbours.eu/en/south/stay-informed/news/eu-delegation-cairo-reaffirms-commitment-support-sustainable-development>. Accessed: 13 February 2020.
- EEAS. 2019b. "The European Union's Global strategy: Three years on, Looking forward." Available at: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-Homepage/64034/node/64034_en. Accessed: 3 February 2020.
- EUobserver. 2019. "Does EU have role in stopping backsliding in Georgia?" Available at: <https://euobserver.com/opinion/146784>. Accessed: 25 January 2020.
- European Commission. 2020. "Visa Facilitation and Readmission: the European Union and Belarus sign agreements." Available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_20_6. Accessed: 13 February 2020.
- Falkenhain, M. and Solonenko, I. 2012. "The EU and Civil Society in Eastern Europe: Partners in the Pursuit of Policy Change?", in T. Börzel and K. Böttger (eds), *Policy change in the EU's immediate neighbourhood, a sectoral approach*. Baden-Baden: Nomos. 56–76.
- Freedom House. 2018. "Nations in Transt 2018: Georgia." 2018. Available at: https://freedomhouse.org/sites/default/files/NiT2018_Georgia_final.pdf. Accessed 22 August 2018.
- Gumeniuk, V. 2010. "Budget Support From the EU: Unrealized potential." *Position Papers*. Available at: http://icps.com.ua/pub/files/60/34/EF_10_2010_ENG.pdf. Accessed 22 August 2018.
- Ioffe, G. 2019. "Parliamentary Elections in Belarus: Stability Over Improvement." 2019. Available at: <https://jamestown.org/program/parliamentary-elections-in-belarus-stability-over-improvement/>. Accessed: 13 February 2020.
- Kakachia, K. and Lebanidze, B. 2019. "When an Election Damages Democracy: Lessons from the 2018 Georgia's Presidential Election." *GIP Commentary*. Available at: <http://gip.ge/gip-commentary-when-an-election-damages-democracy-lessons-from-the-2018-georgias-presidential-election/>. Accessed: 10 February 2019.
- Lebanidze, B. 2020. *Russia, EU and the Post-Soviet Democratic Failure*. Wiesbaden: Springer Vieweg. in Springer Fachmedien Wiesbaden GmbH.

- Robakidze, N. 2019. "Political Polarization and Media: Threats to the Democratic Process in Georgia." Available at: <http://gip.ge/wp-content/uploads/2019/03/Policy-brief-19-Nino-Robakidze.pdf>. Accessed: 9 February 2020.
- The Economist Intelligence Unit. 2019. "Democracy Index 2019." Available at: <https://www.eiu.com/topic/democracy-index>. Accessed: 9 February 2020.
- TI Georgia. 2018. "Hate speech and polarization in the pre-election period." Available at: <https://www.transparency.ge/en/blog/hate-speech-and-polarization-pre-election-period>. Accessed: 9 February 2020.
- Wagner, W. and Anholt, R. 2016. "Resilience as the EU Global Strategy's new leitmotif: pragmatic, problematic or promising?" *Contemporary Security Policy*. 37(3). 414–30.
- Zurabashvili, T. 2019. "Tearing apart: what drives political polarisation in Georgia?" Available at: <https://medium.com/strengthening-political-pluralism-in-georgia/tearing-apart-what-drives-political-polarisation-in-georgia-f40088e5a5a2>. Accessed 9 February 2020.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



**National Endowment
for Democracy**
Supporting freedom around the world

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ (NED) მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ და „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

ბიძინა ლებანიძე, *“მედეგობა და დემოკრატია: შეუძლია თუ არა პრაგმატულ ევროკავშირს საქართველოში დემოკრატიული პროცესის ხელშეწყობა?”*, პოლიტიკის დოკუმენტი #21, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თებერვალი 2020.

© Georgian Institute of Politics, 2020

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

www.gip.ge